სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

06 / იანვარი / 2025 წ.

KA080112796452024

№ **42**

განკარგულება

შპს „ბაია-2018“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: შუახევის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერების ნომრები: NAT240002052 და NAT240018068;

შესყიდვის ობიექტები: 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ბაია-2018“ (ს/ნ: 445535412);

წერილობითი შეტყობინებების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 3 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 2 დეკემბრის № 100-1002433758 და 3 დეკემბრის № 100-100243385 წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 10177 და № 10203), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ბაია-2018“-ის (ს/ნ: 445535412) მიერ NAT240002052 და NAT240018068 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2024 წლის 6 მარტის № 37 და 2024 წლის 8 ოქტომბრის № 274 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების არაჯეროვანი შესრულების/შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე baiadzemaiko2018@gmail.com, 2024 წლის 9 დეკემბერს № 3531 წერილებით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2024 წლის 6 მარტის № 37 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ვერ შეასრულა 2024 წლის 8 ოქტომბრის № 274 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2024 წლის 6 მარტს, NAT240002052 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ და შპს „ბაია-2018“-მა (ს/ნ: 445535412) გააფორმეს № 37 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა სამუშაო ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, 90 კალენდარული დღის ვადაში, 2024 წლის 15 აპრილამდე. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 184 541 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2024 წლის 31 დეკემბერი.

4.2. 2024 წლის 8 ოქტომბერს, NAT240018068 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ და შპს „ბაია-2018“-მა (ს/ნ: 445535412) გააფორმეს №274 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა სამუშაო ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 6 000 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2025 წლის 31 ივლისი.

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 11 აგვისტოს № 100-1002422412 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელი არაჯეროვნად, არასრულად და ვადაგადაცილებით ასრულებდა 2024 წლის 6 მარტის №37 და 2024 წლის 8 ოქტომბრის №274 ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა, რომ 2024 წლის 31 აგვისტომდე შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულებები ცალმხრივად შეწყდებოდა.

4.4. საქმეში არსებული შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის 2024 წლის 21 ნოემბრის №158 მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ მიმწოდებელს 2024 წლის 6 მარტის № 37 ხელშეკრულების ფარგლებში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე მიწოდებული ჰქონდა ბეტონის გარკვეული ოდენობა, რაც საკმარისი არ იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად. ამავე მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიმწოდებელი ვეღარ ახერხებდა სამუშაოების შესრულების გაგრძელებას და ამდენად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების შეწყვეტა.

4.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 28 ნოემბრის № ბ100.100243332 ბრძანებით ცალმხრივად შეწყვიტა 2024 წლის 6 მარტის №37 ხელშეკრულება.

4.6. საქმეში არსებული შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის 2024 წლის 21 ნოემბრის №159 მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ მიმწოდებელს არ ჰქონდა შესრულებული 2024 წლის 8 ოქტომბრის №274 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამავე მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიმწოდებელი ვერ ახერხებდა სამუშაოების შესრულებას და ამდენად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების შეწყვეტა.

4.7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 2 დეკემბრის № ბ100.100243373 ბრძანებით ცალმხრივად შეწყვიტა 2024 წლის 8 ოქტომბრის №274 ხელშეკრულება.

4.8. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, მიმწოდებელმა 2024 წლის 6 მარტის № 37 ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულა 64 767,72 ლარის ღირებულების ვალდებულებები, ხოლო 2024 წლის 8 ოქტომბრის №274 ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ბაია-2018“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა

კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2024 წლის 6 მარტის № 37 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ვერ შეასრულა 2024 წლის 8 ოქტომბრის № 274 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებები აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა/ვერ შეასრულა ორი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევების გათვალისწინებით, შპს „ბაია-2018“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ბაია-2018“ (ს/ნ: 445535412) 2025 წლის 8 იანვარს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე